საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1452/01
18/02/2021

1452-01-2-202102181744

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას

შპს „სოფმარ 2020“-ს

მის: ქ.ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ნაკვეთის შიდა № 311;

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 1 მარტს 14:00 საათზე დაგეგმილია ქ. ფოთში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე შპს „სოფმარ 2020“-ის ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვის, დახარისხების და გადატვირთვის პუნქტის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი - https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/31493).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდში მოქმედებს სხვადასხვა სახის შეზღუდვები, კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2020 წლის 18 სექტემბერს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში” განხორციელდა ცვლილება (https://matsne.gov.ge/document/view/4994730?publication=0), რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პანდემიის/ეპიდემიის დროს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჯარო განხილვის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო განხილვა გაიმართება 2021 წლის 1 მარტს 14:00 საათზე დისტანციურად, WEBEX-ის აპლიკაციის მეშვეობით.

Webex meeting number (ID) – 181 790 4525

Meeting Password: 12345678

Join Webex Meeting -

https://mepameet.webex.com/mepameet/j.php?MTID=m5c29a1145afc7dc3abadf7dc14248fd3

საჯარო განხილვებში მონაწილეობისთვის, გთხოვთ, უზრუნველყოთ Webex-ის აპლიკაციის დაყენება. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ავტომატურ რეჟიმში, შეხვედრის ელ. ბმულზე გადასვლის შემდგომ. აპლიკაციით სარგებლობა შესაძლებელია როგორც სმარტფონით, ასევე პერსონალური კომპიუტერითა და ლეპტოპით.

ამასთან, ,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის No2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის **საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენელი.**

შესაბამისად, გთხოვთ უზრუნველყოთ **ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლის დასწრება დისტანციურ საჯარო განხილვაზე და შესაბამისი კანდიდატურის (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით) წარმოდგენა სამინისტროში.**

ამასთან გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქის გვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ფოტომასალის სახით.

დანართის სახით, გიგზავნით ინფორმაციას აღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე